186/2 N 2270

# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 103. კვირა, 23 მარტი 1903 წ. გაზეთის № 2105.

31

### მხიარული წიგნი

ჰენრიხ ზეიდელისა

მადლობა ღმერთს, გვეღირსა შესანიშნავ იუმორისტის ლევ მხიარულის წიგნის დაბეჭვდა! განა შესაძლოა წარმოიდგინონ იმისმა მკითხველებმა, რა შავი დღე და ვაი-ვაგლახი გამოიარა ამ მხიარულ წიგნის გამომცემელმა, ან რამდენი ადამიანი იმსხვერპლა ამ წიგნმა! პირველი მსხვერპლი შეიქმნა მისივე დამწერი— ლევ მხიარული, რომელმაც გადააჭარბა თავის ნიჭს და იმისთანა საცინარი რამ შეთხზა, რომ შეუძლებელი იყო მისი დაბოლოვება, თუ ავტორს არ ევლო გულშემომყრელ დამაძმარებელ-დამაღონებელ ალაგებში, მაგალითად: დასაფლავებაზე, ახალ პიესების წარმოდგენებზე და თანაც არ ეკითხა რეალისტური რომანები. სწორედ ამ საშუალებამ გადაარჩინა იგი სიცილისაგან სიკვდილს წერის დროს. ბოლოს კი თვითონვე დაჰლუპა თავისი თავი საწყალმა: ვიდრე გამომცემელს გაუგზავნიდა თხზულებას, აილო და ხელმეორედ გადაათვალიერა!..

ექიმები ჰიდროპატიულ სამკურნალოსი, სადაც დღემდე იმყოფება ეს გამოჩენილი იუმორისტი, არჩენენ ამ ავადმყოფს შეუკავებელ სიცილისაგან ისტორიულ და კულტურულ-ისტორიულ რომანების კითხვის შემწეობით. ახლა, მე-137 ტომის წაკითხვის შემდეგ, თურმე უკედა ჰგრძნობს თავს. გამომცემელი, რომელიც თავის დღეში გამოსაცემ [illegible]ლებას არა კითხულობდა — ან რა საჭიროება მოითხოვს ის ხომ ნაქებ მწერლის წიგნებს აბეჭდვინებს—უვნებლად გადარჩა. რადგან შესანიშნავ იუმორისტის ავადმყოფობა და მიზეზი ამისი ყველამ იცოდა, ეს ხელთ-ნაწერი მისცეს ისეთს ასოთ-ამწყობს, რომელიც თავის დღეში ნაწერის აზრს ვერ მიჰხვდებოდა. ასე გასინჯეთ, ერთხელ ამ ასოთ-ამწყობს თავის თავის სიკვდილით დასჯის ბრძანებაც-კიააწყობინეს და მაინც ვერაფერს ვერ მიჰხვდა. მერე იცით, აი ამისთანა ადამიანსაც კი რა მოუვიდა? მეორე პწკარის აწყობისათანავე აუტყდა ისეთი სიცილ-ხარხარი, რომ მთელი სტამბის მუშები შეცვივდნენ იმასთან, ჩაიხედეს თუ არა ხელთ-ნაწერში, მორთეს იმისთანა სიცილი, რომ სახლმა ზანზარი დაიწყო; ზოგს სიცილისაგან ღონე გამოეცალა, წაიქცა და იატაკზე ჰგორავდა. ამ დღეს ისე დაიქანცნენ სიცილისაგან, რომ მუშაობა ვეღარ შესძლეს, სტამბის პატრონმა ბრიუსელიდან გამოიწერა ასოთ-ამწყობი. თუმცა ამ ახალმა ასოთ-ამწყობმა ერთი სიტყვაც არ იცოდა გერმანული, მაგრამ იმასაც აუტყდა სიცილი. იგი ამბობდა, ეს ასოები ისე მოქმედებენ ჩემზე თითქო მილიტინებენო. ამისთანა გარემოებაში, რასაკვირველია, კარგი კორექტორი იყო საჭირო; ყეყეჩა ყანყრიას, სტამბის კორექტორს, რომელსაც თავის სიცოცხლეში არამც თუ არ გაუცინია, ღიმილიც კი არ მოსვლია სახეზე, აუტყდა იმისთანა სიცილი, რომ სამის დღის განმავლობაში მუშაობა ვეღარ მოახერხა. ახლა რაღა ექნათ? ეს შესანიშნავი წიგნი-კი უსათუოდ უნდა გამოსულიყო.



გაზაფხული.—სურათი ფრულინგისა.

გამომცემელი არაფრის გულისთვის ხარჯს არ ერიდებოდა. მოიწვია 12 ახალი კორექტორი— სულ ღრმა იპოხონდრიკები, მიზანტროპები და პესიმისტები. ესენი თუმცა ძრიელ ჩქარ-ჩქარა სცვლიდნენ ერთმანეთს, მაგრამ მაინც ერთის წუთის შემდეგ ყველას საოცარი სიცილი აუვარდებოდა ხოლმე. მხოლოდ ხავსმოკიდებული მოხუცნი სძლებდნენ თხუთმეტ წუთს. დღე გამოშვებით იმათ უეჭველად უნდა დაეარნათ კუბოების სახელოსნოები, შავების მაღაზიები და ამ გვარად მოესპოთ სიცილის სურვილი. მიუხედავად ამისა, ერთმა მათგანმა, რომელსაც ორის კვირის დამხრჩვალი კაც[illegible]ნედვა, თავი ვერ შეიმაგრა და მოჰყვა უდიერ სიცილ-ხარხარს წაკითხულის მოგონებაზე.

აი, ამ აურზაურით და ვაი-ვაგლახით, როგორც იყო, წიგნი დაიბეჭდა.

ასაკონათა და ყდაში გასაკეთებლად, რასაკვირველია, ისეთებს მისცეს, რომელთაც ერთი ასოც არ იცოდნენ. ასე და ამ გვარად, ეს უკანასკნელი დაბრკოლებაც აიცილეს: გამოვიდა მჩია რული წიგნი და დარიგდა მაღაზიებში.



ჩხუბი თამაშობის დროს.—სურათი რ. კოგისა

არა, რომელ კალამს ძალა-უძს ასწეროს ის ალიაქოთი, ლრიანცელი, ვაი-უშველებელი, რომელიც ხდებოდა წიგნის მაღაზიებში... გამყიდველთ, წიგნის ქაღალდში შეხვევის ნაცვლად, წასქდებოდათ დაუკავებელი და დაუსრულებელი სიცილხარხარი; საცოდავნი დაზგებ ქვეშ იმალებოდნენ, რომ არავის დაენახა, როგორ გველებივით იხლაკნებოდნენ სიცილისაგან.

აკი მოგახსენეთ, ამის აღწერა შეუძლებელია მეთქი!..

მე, როგორადაც კრიტიკოსს, აუარებელ ლიტერატურულ სამუშაოთი დატვირთულს, რასაკვირველია, არ მექნება წაკითხული ის წიგნი, რომლის კრიტიკასაც ვსწერ—ჩემი ჩვეულება არ დავარღვიე ამ წიგნის სასარგებლოდაც კი, თუმცა იგი ჩემს სტოლზე დევს გადაშლილი.

ტ. ნასიძისა.

## პატიმარი

ვხედავ, დიდა ადრიანობს,
განთიადი შეიცვალა,
ზამთარს სუსხი მიეღია
და დღეები დაეთვალა...

მზე წამოდგა, ორ-სამ პირად
ჩაკეცილი სხივი მტყორცნა,
ხავს-მოდებულ კუთხის ბნელი
გამინათა, დამიკოცნა.

დამთბა თითქოს; სანათურთან
ბუზი მჭრალი ახმაურდა
და ბზუილით ღმერთს დიდება,
მზეს მადლობა გადუხადა.

გამოვალე სანათური,
გრილმა სიომ დამიბერა;
უცხო რამე სიტკბოებ
ვიგრძენ, გულზე დამეწერა!..

ვთქვი: „უთუოდ გაზაფხულდა,
ცამ, ქვეყანამ გაიხარა
და ბუნების დღესასწაულს
სიხარულით შეეყარა!"

გავიფიქრე; „იქნებ-მეთქი
მეც მეღირსოს გაზაფხული,
გულით სრულით და იმედით
კვალად მისი სიყვარული?!."

დაგიწყებული.

1903 წ.

# ფსიხოლოგიური სცენა

გროტისა

კაცი ლოგინიდან დგება. სცენაზე გამოდიან: სმენა, ხსოვნა ნება, სიზარმაცე, მხედველობა, სჯა, ჭკუა, სინიდისი, გულისხმა და ერთმანეთს ებაასებიან.

სმენა. აგერ, ექვსი საათი შესრულდა...

ხსოვნა. თითქოს შენ გუშინ გადასწყვიტე, ექვს საათზე ამდგარიყავი?

ნება. ადექი, ადექი! (კაცი ამთქნარებს, თვალებს ისრესავს და ცოტათიც წამოიწევს).

ხსოვნა. განა შენ არა სთქვი, უეჭველად ექვს საათზე უნდა ავდგეო?

სიზარმაცე. ექვს საათზე ადგომა განა შესაძლებელია? განა ადრე არ არის? ძილი რომ არ დაისრულო, მავნებელია; ნამეტნავად იმისთანა კაცისთვის, რომელიც შენსავით სუსტის აგებულობისაა. მოისვენე კიდევ ცოტას ხანს...

ხსოვნა. გუშინ შენ სულ სხვა რიგად ჰფიქრობდი, კაცო!

სიზარმაცე. არა, რა არის რამდენიმე წუთი? რას ჰნიშნავს გინდ ერთი საათი ამისთანა დიდს დღეში? მერე ბნელა კიდეც!. აი გათენდეს და მაშინ ადექი! (ხსოვნა გაჩუმდება. ნება ხმას არ იღებს. კაცს კიდევ წასთვლიმავს; გამოეღვიძება და შეჰხედავს საათს).

მხედველობა. მეშვიდე საათია!

ნება. ახლა კი სწორედ დროა ადგომისა! (კაცი წამოიწევს ლოგინიდან და წინდას იღებს ჩასაცმელად).

სიზარმაცე (მოვარდება გულ-ხეთქით). არა სჯობს, ცოტა კიდევ მოისვენო? ვერა ჰხედავ, რა ავი დარია! რა გაჭირება გადგია? საქმე არ გაფუჭდება და არსად გაგექცევა...

ნება. არა, უნდა გეშურებოდეს!

სჯა. თუ არ ადექი, საქმე არ შესრულდება და წახდება კიდეცა...



ტკბილი ხმები,—სურათი ლ. ალომისა

სიზარმაცე. სულ საქმე და საქმე! თითქოს უსაქმურად ცხოვრება არ შეიძლებოდეს! ცოტა ხანს რომ კაცმა თავი მოსვენებას მისცეს, ვითომ რა ქვეყანა დაინგრევა! მუდმივი შრომა კაცის ჯანის წამრთმევი და დამასუსტებელია. კიდევ მოესწრები მუშაობას... მოისვენე ცოტა კიდევ... (ნება გაჩუ-

მებუდია. შკუა ხმას არ იღებს. კაცს კიდევ წასთვლემს; გამოეღვიძება და საათს შეჰხედავს).

მხედველობა. ეჰე, შვიდის ნახევარი გამხდარა, ეხლა კი სულ გათენებულა!

სინიდისი. სწორედ შესაბრალისი ყოფილხარ, შე საწყალო! არ შეგძლებია შენი თავი შენვე დაიმორჩილო; გრცხვენოდეს, აბა რა მოიგე იმითი, რომ ერთი საათი მეტი დაიძინე?!



ტფილისი. გოგოლის ძეგლი კურთხევამდე და ძეგლის გამკეთებელი მექანდაკე ხოდოროვიჩი.



ტფილისი. გოგოლის ძეგლი.



ქალაქის თავის მოადგილე მ. შესტაკოვი სიტყვას ამბობს გოგოლის ძეგლის გახსნაზე.

ნება. ეხლა კი უეჭველად ადგომა სჯობს!

სიზარმაცე (დინჯად). ემ წუთში..... მაგრამ მოითმინე: რა საჭიროა საქმეზე ეგრე თავდადება! დიდი შრომა ფრიად მავნებელია! რა საჭიროა, რომ ძალიან აღმასრულებელი იყო საქმისა! ვინ გეყოლება მადრიელი? საათის მეოთხედი რომ დაიგვიანო, რა საქმე წახდება, ან თავს ვინ მოგჭრის!

კაცი. მართლაც და რა უბედურებაა!.. (გადაბრუნდება მეორე გვერდზე და ცოტა ხნის შემდეგ კარგ ხვრინვას ამოუშვებს. როდესაც გამოეღვიძება, საათს შეჰხედავს და თავის-თავს ეტყვის) ეჰე, ჩქარა შვიდი საათი შესრულდება. მეტი ჩარა არა მაქვს, უნდა წამოვდგე... ვგონებ, კარგა გამოვიძინე! (იწყებს ფეხსაცმლის ჩაცმას, ამთქნარებს და იზმორება).

გულის ხმა. უფრო მეტი დაჰკარგე: პირველი—დროზე რომ ამდგარიყავ, უფრო მხნე და ცოცხალი, შენის თავისა და სხვის მადრიელი იქნებოდი; მეორე — შეგეძლო ეგ ერთი საათი გადაგენარჩუნებინა და რაიმე სასარგებლო საქმისათვის მოგეხმარებინა, ეხლა კი გვიან-ღა არის: დაკარგულს დროს ვერ დაიბრუნებ...

თავმოყვარეობა. რას მოასწავებს ამ გვარად დროს განაწილება! დღეს არა, ხვალ შემიძლიან დავიბრუნო დაკარგული დრო...

გულის ხმა. მაგ გვარი მსჯელობა იცის მხოლოდ ტუტუცმა და უქმმა კაცმა. ანგარიშის კაცს ერთი გროშიც არ ეკარგება, ხოლო შრომის მოყვარეს კიდევ-ერთი წამი. რასაკვირველია, დრო არ უნდა გვენანებოდეს მაშინ, როდესაც

რაიმე საჭიროებისათვის ვხმარობთ, მაგ., დასასვენებლად, საზოგადოების საკეთილდღეოდ და არა სხვადა-სხვა მავნებელ გასართობებსა და ცუღლუტობაზე. მაგრამ რადგან ჩვენი სიცოცხლე მოკლეა და საქმე კი ბევრი გვაწევს, უნდა ვეცადოთ, დრო ტყუილუბრალოდ არ დავკარგოთ. იმისთვის, ვისაც სიზარმაცე და ცუღლუტობა არ უყვარს, დღე ისეთივე მოკლეა, როგორც სიცოცხლე. განა დასათმობია, რომ კაცმა დრო დაჰკარგოს სიზარმაცის გულისთვის და არ მოუტანოს ამითი სარგებლობა არც თავის თავს და არც სხვას? თვითონ შენ ისიამოვნე რამე იმითი, „რომ დაჰკარგე ერთი საათი და ლოგინში იგორავე? არა, შენ იმითი არაფერი გისარგებლნია, გარდა სინანულისა. გახსოვდეს, ჩემო კარგო, „რომ დღეის დაკარგულს ერთს საათს ხვალ ვერ დაიბრუნებ!

სინიდისი. სცხვენიან და თავს არიდებს ლაპარაკს...

ლიახვისპირელი.




ხმოსანი. რა მღვრიე წყალი მოგაქვს, „ცარიელი" ტალახია!
მსახური. ქალაქის მილიდან გახლავთ.



— ესენი „ტფილისის მილის წყალზე სუფთა წყალსა სმენ.

## გოგოლის ძეგლი ტფილისში.



— ჰმ, იმისთანა დიდს და გამოჩენილ კაცს ასეთი პატარა ძეგლი!... ძლივს ვიპოვე!..



ტფილისის საბჭოს ახალი მოღვაწეობა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 22 Марта 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.